

საინფორმაციო ფურცელი
ავტოდაზღვევის შეთავაზების შესახებ

გამარჯობა

თქვენ ეცნობით სს სადაზღვევო კომპანია პრაიმის (ს/ნ 204540274) ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის ძირითად პირობებს. საინფორმაციო ფურცელი უზრუნველყოფს აღნიშნული დაზღვევის პირობების შესახებ თქვენთვის უტყუარი, ზუსტი და არადაამაბნეველი ინფორმაციის მიწოდებას.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

რას წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულება?

ავტოდაზღვევის შეძენის შემთხვევაში, გადმოგეცემათ/გამოგეგზავნებთ თქვენ მიერ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი - სადაზღვევო პოლისი, რომელიც მასში მითითებულ დაზღვევის პირობებთან (ხელშეკრულება) ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან დოკუმენტს. სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის დეტალური პირობების (ხელშეკრულება) გაცნობა შეგიძლიათ ჩვენ ვებ-გვერდზე www.primeinsurance.ge. დაზღვევის შეძენა გულისხმობს, რომ დაეთახმეთ აღნიშნულ ვებ-გვერდზე განთავსებულ და სადაზღვევო პოლისში მითითებულ დაზღვევის პირობებს (ხელშეკრულება).

რას ფარავს დაზღვევა? და რისგან შედგება?

- 2.1. ავტომობილის ძარის დაზღვევა (CASCO) - ანაზღაურდება ავტომობილის როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაზიანება, სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით;
- 2.2. მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL) - ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის მართვისას, მესამე პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებული ზიანი;
- 2.3. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MA) - ანაზღაურდება ავარიის შედეგად დაზღვეულ ავტომობილში მყოფი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი.

რომელ ქვეყნებში მოქმედებს დაზღვევა?

- ავტომობილის ძარის დაზღვევა (CASCO) - საქართველო (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), სომხეთი, აზერბაიჯანი;

შენიშვნა : მხარეთა შეთანხმებით დაზღვევის ტერიტორიად, დამატებით, შესაძლებელია განისაზღვროს სხვა ქვეყნები.

- მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL) - საქართველო (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა);
- მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MA) - საქართველო (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა);

რისგან ხართ დაზღვეული?

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (აგარია);
- ხანძარი, აფეთქება;
- სტიქიური უბედურებები;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ვანდალიზმი;
- საგნის დაცემა

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ:

1. დაზღვევის შესაძენად, უნდა იქნას გადახდილი სადაზღვევო პრემია, შერჩეული და შეთანხმებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად, რაც ასახული იქნება სადაზღვევო პოლისში.
2. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს უპირობო ფრანშიზას (ზარალის არ ანაზღაურებადი ნაწილი), მაშინ სადაზღვევო ანაზღაურების თანხას, თითოეულ და ყველა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებისას, გამოაკლდება ფრანშიზის თანხა.

როდის შედის დაზღვევა ძალაში?

დაზღვევა ძალაში შედის სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდის დასაწყისი დღის 24 საათზე, თუ პოლისით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემია გადახდილია სრულად და დაზღვეული ავტომობილი არის დასურათებული (სურათების გადასაღებად პოლისის შექმნისთანავე უნდა მიმართოთ სადაზღვევო კომპანიის სათაო ოფისს ან ნებისმიერ სერვის-ცენტრს ან დაუკავშირდეთ ცხელ ხაზზე (2 241525).

რა არ ანაზღაურდება?

- ავტომობილის იმ ნაწილების და დეტალების შეკეთების, ჩანაცვლების ან/და აღდგენის ხარჯები, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე აღენიშნებოდათ მნიშვნელოვანი დაზიანებები; ასევე ისეთი ხარჯები, რომლებიც ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებულთან შედარებით გააუმჯობესებენ;
- საბურავის დაზიანება, თუ ამავე დროს იმავე მიზეზით არ მომხდარა ავტომობილის სხვა ნაწილების დაზიანება;
- ნებისმიერი არაპირდაპირი ზიანი, მათ შორის ავტომობილის შეკეთების შედეგად მისი საბაზრო ღირებულების შემცირებით მიღებული დანაკარგი;

- სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით (მიუხედავად იმისა იყო თუ არა ამის შესახებ დამზღვევისათვის მოსარგებლისათვის ან/და უფლებამოსილი მძღოლისათვის ცნობილი), ამორტიზაციით, ცვეთით, ჟანგით, კოროზიით ან/და მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლით გამოწვეული ზარალი;
- ავტომობილის არაქარხნული დეტალების, მოწყობილობების ან/და აქსესუარების დაზიანება ან/და ქურდობა, თუ საწინააღმდეგო არ წერია სადაზღვევო პოლისში;
- ზარალი, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების ავტომობილში ან მასზე დატოვებას ან არაუფლებამოსილი მძღოლისათვის გადაცემას, ასევე შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარის ღია დატოვებას;
- ავტომობილის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ავტომობილის მესაკუთრის ან/და მძღოლისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმა, ასევე, საჯარო სადგომზე დგომის ხარჯი;
- ზარალი მიყენებული დამზღვევის, მოსარგებლის ან მათი ოჯახის წევრის ქონებისათვის, რომელიც იმყოფება მათ საკუთრებაში ან მინდობილი საკუთრების სახით ინახება მათთან;
- ავტომობილის მძღოლის ან/და მგზავრებისათვის მიყენებული ზიანი;
- ნებისმიერი ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც გადაიზიდება ავტომობილის ან მასზე მიმაგრებული მისაბმელით;
- სხვა დაზღვევით დაფარული პასუხისმგებლობა;
- დაზარალებული პირისათვის მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე გადახდილი კომპენსაცია ან მის წინაშე აღიარებული ან აღებული პასუხისმგებლობა;
- ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;
- მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან გარდაცვალება, თუ ის სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან თორმეტი კალენდარული თვის გასვლის შემდეგ დადგა;
- დაზარალებულებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას უპირატესობა მიენიჭება ამ პროგრამებს. თუ ზიანის თანხა აღემატება სახელმწიფოს მიერ გადახდილ თანხას, დარჩენილ თანხას ანაზღაურებს მზღვეველი სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში;
- სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა „ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევით“ მიღებული თანხის ზევით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ავტომობილის გადატვირთული იყო, მგზავრთა რაოდენობა აღემატებოდა დასაშვებს ან გამოიყენებოდა ისეთ ადგილებში, რომლებიც ავტომობილით მოძრაობისათვის არ არის განკუთვნილი;
- იგი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით ან მასზე ვრცელდება მწარმოებლის ან დილერის გარანტია;
- ავტომობილი გამოიყენებოდა სხვა დანიშნულებით, ვიდრე დაზღვევის განაცხადშია დამზღვევის მიერ მითითებული;



- ავტომობილის მძღოლი მართვისას იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა მისი ბრალით მოხდა თუ არა; ან უზურპირებული ხელისუფლების მოქმედებით (მათ შორის კონფისკაცია, ჩამორთმევა ან მათი მცდელობა);
- ადგილი ჰქონდა ისეთ ქმედებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მზღვეველს უფლებას აძლევს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;
- სადაზღვევო შემთხვევა დადგა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი საგზაო მოძრაობის წესებით დადგენილი სინქარის ლიმიტის გადაჭარბებისას ან საპირისპირო მიმართულების ზოლში საგზაო წესების დარღვევით გადაადგილებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის ქონების ან/და სიცოცხლის გადარჩენის აუცილებლობით;
- სადაზღვევო შემთხვევა დადგა ავტომობილის მიერ თვითმკვლელობისას, ასეთის მცდელობისას ან ისეთი განზრახვი ქმედებისას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;
- სადაზღვევო შემთხვევა დადგა სამშენებლო/სამონტაჟო და სხვა სამუშაოების სამშენებლო/სამუშაო მოედანზე/ტერიტორიაზე შესრულებისას;
- ავტომობილი გამოიყენებოდა ანაზღაურების სანაცლოდ მგზავრთა გადასაცემად ან ტვირთის გადასაზიდვად ან იგი გაქირავებული იყო, თუ ამგვარი გამოყენება სადაზღვევო პოლისში არ არის მითითებული;
- ინტერიერის, სავარძლების, შალითების, ხალიჩების, ტენტების და სალონის საფარი ბრუნებების ცალკეული დაზიანება, თუ ეს დაზიანება არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;
- ავტომობილის მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი, გარდა ავტომობილის ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობის შედეგად გამოწვეული დაზიანებისა;
- სადაზღვევო შემთხვევა დადგა ავტომობილის, როგორც ტვირთის ტრანსპორტირებისას (მათ შორის ლაფეტით გადაზიდვისას ან ბუქსირებისას), მისი დატვირთვის ან გადმოტვირთვისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ ქმედებებს ახორციელებს მზღვეველი;
- სადაზღვევო შემთხვევა დადგა ავტომობილის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მოძრაობისას, გარდა სტუმრებისათვის განკუთვნილი ავტოსადგომისა;
- ავტომობილი იძებნება ან/და დაზიანებული ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა დაზღვევის VIN კოდის/შასის ნომრის შესაბამის მონაცემებს;
- დამზღვევი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი ან/და დოკუმენტი); ასევე, თუ დამზღვევი შეგნებულად ზრდის ზარალის ოდენობას ან მზღვეველს ყალბ/არასწორ ინფორმაციას აწვდის;
- თუ ავტომობილი მონაწილეობს რბოლებში ან ნებისმიერი სახის გამოცდებსა თუ შეჯიბრებებში (Test Drive, Off Road);
- თუ დაზარალებულმა განზრახ ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან;

ზარალი გამოწვეულია იონიზირებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა

სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით; ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), შემოჭრით, საომარი მოქმედებებით, ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით, სამოქალაქო მღელვარებით, სამხედრო (მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ).ზემოთ ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად არ ანაზღაურდება ზარალი თუ :

- კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და თავისებურების გათვალისწინებით, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მოვითხოვოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტები ან კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით, შევამციროთ მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხა. ამასთან, ხსენებული წარმოადგენს მხოლოდ ჩვენს უფლებამოსილებას და თქვენს მიერ მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენ უფლებამოსილი ვართ უარი გითხრათ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.
- სადაზღვევო პრემიის სრულად ან პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში პირველი შენატანის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ყოველგვარი ვალდებულებისაგან, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადის 14 კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისის მოქმედება დამზღვევისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე და არ ანაზღაუროს ვადაგადაცილების პერიოდში დამდგარი ზარალი;
- დამზღვევი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა იყოს უზრუნველყოფილი სუბროგაციის პრინციპით გადასული სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე, ხოლო უკვე გაცემული ანაზღაურების შემთხვევაში მოვითხოვოთ ამ თანხის უკან დაბრუნება;
- ადგილი ჰქონდა ისეთ ქმედებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მზღვეველს უფლებას აძლევს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

როგორ უნდა მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:

- არ გადააადგილოთ დაზღვეული ავტომობილი შემთხვევის ადგილიდან (თუ არ იქნება მითითება სამართალდამცავი ორგანოების ან მზღვეველის მხრიდან);
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით სადაზღვევო კომპანია პრაიმს ცხელ ხაზზე: 2 24 15 24 და აცნობეთ სადაზღვევო შემთხვევის/ავარიის შესახებ;
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით საპატრულო პოლიციას.

რა ვადაში გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება:

სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დასადგენად საჭირო ყველა საბუთისა და ინფორმაციის მიღებიდან და სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ორმხრივად ხელმოწერიდან, არაუგვიანეს ხუთ სამუშაო დღეში;

მომხმარებელთა უფლებების დაცვა:

დაზღვევის პირობებით (ხელშეკრულები) ან მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს, დარეკოთ ცხელ ხაზზე: 032 2 24 15 24, მოგვწეროთ ვებ-გვერდზე www.primeinsurance.ge, ელ.ფოსტაზე info@primeinsurace.ge ან წარმოადგინოთ საპრეტენზიო წერილი სადაზღვევო კომპანიის სათაო ოფისში ან ნებისმიერ სერვის-ცენტრში. პრეტენზიას განიხილავს იურიდიული დეპარტამენტი და პასუხი გაცემული იქნება პრეტენზიის დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მონაცემთა დაცვა:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სადაზღვევო კომპანიის ცხელ ხაზზე შემომავალი ყველა ზარი იწერება.

თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება მხოლოდ დაზღვევის პირობებში (ხელშეკრულებაში) მითითებული მიზნებისთვის.

ინფორმაცია ჩვენი სახელმწიფო ორგანოს შესახებ:

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

მის.: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. N3